ხუთშაბათი, 6 სექტემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 195

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## ქართველი ქალები

გულის ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ პანაშვიდი განსვენებულ

## ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დღეს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე, სიონის ტაძარში. (1—6—1)

ტფ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოების მთავარი კომიტეტი აცხადებს ულრმეს მწუხარებას დიდებულის მამულის შვილის და საზოგადო მოღვაწის

თ. ილია გრიგოლის ძის

## ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს

ტრაგიკულად მოკვლის გამო და სთხოვს ვაჭრებს, დაესწრნენ ხუთშაბათს, ექვს ენკენისთვეს, ჩუღურეთში წმ. ნიკოლოზის ტაძარში დილის 12 საათზედ, პანაშვიდს. (2—297—2)

კნეინა დესპინა ადანათიას ასული ჩიჩუა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარლის მეუღლის:

## თავად მიხეილ ლევანის ძის ჩიჩუასას.

ქ. ქუთაისში 4 სექტემბერს. გამოსვენება ლაზარეთის ქუჩიდან ქუთაისის ვოგზალზე 7 სექტემბერს, დილის 12 საათზე. გაასვენებენ დაბა ახალ სენაკში და იქიდან ს. ხორში, სადაც იქნება დასაფლავებული მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის სასაფლაოზე. (1—6.—1)

ქ ა ხ უ რ ი ღ ვ ი ნ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა

## „ზ ი რ ს ა“

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

ტფილისში. (50—262—7)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ზუზუნებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—6)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდნენისა. (63)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

**შინაგანი და ვენერიული**. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 11—12 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 11—12 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტროთერაპიული

## კ ა ბ ი ნ ე თ ი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—25)

ე ქ ი მ ი

**ე. ვ ა შ ა ქ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი

**ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—172)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—4)

ე ქ ი მ ი

**ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—4)

**ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიის გამგე** აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები შვიდიდან ცხრა წლამდის, **დაიწყება 10 სექტემბრიდან; ამავე რიცხვიდან დაიწყება ხელმეორე გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა.** (8—6.—8)

## წალენჯიხის იარმუკა

(ზუგდიდის მაზრა, სოფ. წალენჯიხა)

**გაიხსნება 12 სექტემბერს და გასტანს 25 სექტემბრამდე.** (3—298—1)

## სკოლა და პანსიონი

**მ. ალ. ბარტოლდისა**

ელისაბედის ქ. № 59, საკუთარი სახლი. მიიღებიან მოსწავლენი ყველა საშუალო სასწავლებელსა და კადეტის კორპუსში მოსამზადებლად. (6—285—4)

ც ნ ო ბ ი ლ ი

## ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალისტანისამოსს**, იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

გამგედ სამკერვალოსისა არიან: უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—7)

„შუამავლის“ მაგიერ შაბათს, 8 ენკენისთვეს, გამოვა იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი

## „მ უ რ დ უ ლ ი“

ჟურნალი შეიცავს 16 გვერდს უფრო პატარა ფორმატისას და 10 კაპ. მაგიერ ღირება—6 კაპეიკი.

ადრესი: Типогртфія Т-ва „Трудъ“ Михайловская № 65. (2—უ.—1)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ **ივ. გომელაურის**-მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

## ქართველი მწერლები

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით

**წიგნი პირველი, მეორე გამოცემა,** შევსებული და შესწორებული, შეიცავს 416 გვ. და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს დაეთმობა 20%.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგად.“ წიგნის მაღაზიაში. (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).

Тифлисъ. Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (10—271—5)

## სკოლა და პანსიონი

ერისთავი-ზუბალევსკისა

(ველიკოკნიაჟესკაია № 54)

იღებს პანსიონერებად, ნახევარ პანსიონერებად და გარედან მოსიარულეთაც.

ამზადებს საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებისათვის. ასწავლიან ახალ ენებსა და მუსიკას.

სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს. (3—278—3)

ვისაც განსვენებულ ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე სურს სიტყვების წარმოთქმა, ხუთშაბათს, საღამოთი უნდა ჩაეწეროს „ნაკადულის“ რედაქციაში და ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე მობრძანდეს იმავე რედაქციაში.

სიტყვების გამნაწილებელ კომისიის წევრი **ალ. მდივანი**. (2—2 ნ.)

## ტფილისი, 6 ენკენისთვე.

მესამე პოლიტიკური არჩევნები დაიწყო: უკვე რამდენიმე ცნობა მოგვიტანა ტელეგრაფმა გლეხთა და მუშათა კურიაში რწმუნებულთა არჩევნების შესახებ.

რასაკვირველია, ჯერ ერთობ ადრეა იმის დასკვნა ან წინასწარმეტყველობა, თუ რა მიმართულებას მიიღებს საარჩევნო კამპანია; ამაზე ცოტად თუ ბევრად დაახლოვებითი წარმოდგენა მხოლოდ 2—3 კვირის შემდეგ გაიქნება, როცა რწმუნებულთა არჩევნები დასრულდება და ამომრჩეველთა არჩევანს შეუდგებიან. მაგრამ პირველი ცნობებიც მდგომარეობის დამახასიათებელნი არიან და საჭიროა მათი აღნიშვნა.

როგორც ბოლო ხანს ვწერდით და მოველოდით, დაბალ საარჩევნო კურიებში ერთობ გულგრილად უხვდებიან არჩევნებს. არა-თუ საარჩევნო აღფრთოვანება და გატაცება არა სჩანს, თვით მცირედი ინტერესიც კი თითქო არ ჰსუფევს ამრჩეველთა შორის. გაზეთებს მრავლად მოჰქონდა ცნობები, რომ ის პირნი, რომელთაც საარჩევნო უფლებით სარგებლობა მხოლოდ განცხადების შემდეგ შეუძლიათ, დიდ ინდიფერენტიზმს იჩენენ არჩევნებისადმი და სათანადო განცხადებანი ძალიან ცოტას შეაქვს სადაც ჯერ არსო. ბინის დამქირავებელნი ქალაქებში, მიუხედავად იმისა, რომ კადეტები ძალიან ცდილობენ და რამდენჯერმე ვადებიც ახალი დაინიშნეს, წინანდებურად აღარ ზრუნავდნენ თავის პოლიტიკურ უფლების დაცვისათვის. ამის გამო ამ კატეგორიის ამრჩეველთა რიცხვი, ე. ი. უფრო ოპოზიციონურად განწყობილ მასსის წარმომადგენელთა რიცხვი, საარჩევნო ველზე ძალიან შეთხელდა.

დაწყებულ არჩევნების შესახებ მიღებული პირველი ცნობებიც ამას გვეუბნებიან. ნიჟნი-ნოვგოროდიდან იტყობინებიან, რომ რწმუნებულთა არჩევნები ხუთ ალაგას ვერ მომხდარა, რადგან „მუშათა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა“-ო; მოსკოვის გუბერნიაში, როგორც ერთ დეპეშიდან სჩანს, სოფლის ზოგ ყრილობაზე ახდილი აგიტაციაც ყოფილა არჩევნების წინააღმდეგ და ერთი ამრჩეველ-აგიტატორი კიდეც გაუძევებიათ ყრილობიდან... მეორეს მხრით, მთავრობამაც გაიხსენა დურნოვოს დროს გამოცემული „კანონები“ არჩევნების ბოიკოტის შესახებ და ადგილობრივ ადმინისტრაციას უბრძანებს, სასტიკი ღონისძიებანი მიიღეთ ბოიკოტისა და ბოიკოტისტების წინააღმდეგაო...

ეს მცირედი ფაქტები, რასაკვირველია, არ ამტკიცებენ, რომ რუსეთში ბოიკოტისტურმა განწყობილებამ გაიმარჯვა და ხალხი მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში; მაგრამ ვერც იმას ვყოფთ უარს, რომ დემოკრატიას, უფრო მეტად, უფრო მეტ შემთხვევაში, რწმენა დაეკარგა ბიუროკრატიულ ცდისა და მესამე სათათბიროსაგან სრულიად აღარაფერს მოელის.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბინის წვრილ დამქირავებლების შორის ინდიფერენტიზმი ჰსუფევს, რომ მუშების „საკმაო რიცხვი“ არ ესწრება არჩევნებს, რომ გლეხთა კურიაში ხმას ამაღლებენ არჩევნების წინააღმდეგ ან ფორმალურად ირჩევენ მამასახლისებსა და სოფლის სხვა მოხელეთ.

ასეთ მდგომარეობაში გასაკვირველი აღარ იქნება, თუ გამარჯვება იმ ელემენტებს დარჩებათ, რომელთაც 3 ივნისის კანონმა უპირატესობანი მიანიჭა საარჩევნო ბრძოლის საქმეში; ადვილად შესაძლებელია, რომ მესამე სათათბიროს ხელმძღვანელობა იმ მემარჯვენეთ შეხვდეს, რომელთაც ასე ისახელეს თავი საერობო კრებებზე მოსკოვში. ესენი მთავრობასაც გადააჭარბებენ რეაქციონერობაში, უარჰყოფენ ყოველ დემოკრატიულს რეფორმას და ადვილად წარმოსადგენია, რა პოლიტიკურ კრიზისს და სკანდალს გამოიწვევენ. საქმე ისე მიდის, რომ რუსეთმა ეს სტადიაც უნდა გამოსცადოს: „ჭეშმარიტ რუსებსა“ და მათ მზგავსთ არგუნებს ისტორია კიდევ ერთის პოლიტიკურის ექსპერიმენტის მოხდენას. მძიმე იქნება რუსეთისათვის ეს ექსპერიმენტი, მაგრამ იგი უეჭველად მისცემს ახალს ძალას დემოკრატიის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

## ვერ მოჰკლეს!

„ილია რო მოჰკლეს!“ მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოჰკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუ თუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავ-დადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთად-ერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო,, მხოლოდ ფაქტი რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მომამგე ქართველ ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი?! ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტის-მეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა რევოლიუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლიუციავ ჩვენს ხელში...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს თუ ასე არ არის. დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუ თუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელის ქვეყნისა. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუ თუ იქამდის დავკნინდით, დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუ თუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს. ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცნეთ ამ უბადრუკებს? ნუ თუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი—ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოდ ზედ? დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად და პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!.

მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!“ მესმის გულ-საკლავად წარმოთქმული აქეთ-

იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დიდლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი—დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, —წყლულები ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჰკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილია!

**ვაჟა-ფშაველა.**

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

**გორი.** უკიდურესობამდე აგვაღელვა და აგვაშფოთა ძვირფას პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საზიზღარმა მკვლელობამ. არ ვიცით, რა სიტყვებით ვუძღვნათ ჩვენი ზიზღი და სიძულვილი პოეტის მკვლელს. სამძიმარს ვუთვლით განსვენებულის მეუღლეს.

**საქგურ გორის მოსამსახურენი.**

**პეტერბურგი.** ვგლოვობ საქართველოს გამქრალ ვარსკვლავს, დაუვიწყარ მგოსანს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს. ვისმა შავმა მარჯვენამ განგმირა შენი გული, ივერიის დიდებავ?

**სტუდენტი ცომაია.**

**კიევი.** ღრმად დამაღონა ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავმა. ჩვენი სამშობლოსთვის აუნაზღაურელი დანაკარგია. ვილოცე მისი სულისთვის. თქვენთან ერთად ვგლოვობ მხცოვან მგოსანს.

**ეპისკოპოსი კირიონი.**

**დარიბიჩაგი.** თანამედროვე საშინელ გარდამავალ ხანის დროს წამებულ მსხვერპლთა სიას მიემატა კიდევ ერთი დიდებული სახელი ილია ჭავჭავაძისა. ის იყო ერის სახელი, დიდება და გამომხატველი მთელის ეპოქისა. საშინელებაა, თუ მკვლელი ქართველია, მით უფრო საშინელია, თუ მათ იცოდნენ რასაც იქმოდნენ. ვგლოვე უბედურო სამშობლო, ვგლოვე შენი თავი და შენი გადაშენებული ნაძირალები, და ნუ იგლოვებ შენს დიდებულსა და დაუვიწყარ მამულიშვილს.

**დუტუ-მეგრელი და ანასტასია ერისთავისა.**

**გრაკალი.** გადაეცით ილიას დას ელისაბედ საგინაშვილისას, რომ საშინელმა ამბავმა ლოგინად ჩამაგდო და ამიტომ არ შემიძლიან პირადად ვუამბო მას ჩემი უსაზღვრო სულის კვეთება და დარდი.

**ნინო ორბელიანი.**

**ზუგდიდი.** მთის დამშეული მეგრელები გრაზმორეულნი არიან თავიანთ ძვირფას მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ილიას ვერაგულ მოკვლით. საზიზღარ მკვლელებს წყევლას და სიძულვილს ვუგზავნით.

**წალენჯიხელები.**

**სუფსა.** ცხარე ცრემლით ვგლოვობთ ქართველთა დიდებულ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს. საზოგადოება მოვალეა მკვლელები აღმოგვიჩინოს. სირცხვილი მათ თანამოაზრეთ!

**ნავთის მილის მოსამსახურე ქართველები.**

**გრაკალი.** სასოწარკვეთილი და თავზარდაცემული ვართ დაუვიწყარ ილია ჭავჭავაძის სიკვდილითა და ჩვენი სამშობლოს შერცხვენით. წყევლა-კრულვა საზიზღარ ნაძირალებს! განსვენებულ მგოსნით იამაყებდა ყოველი მოწინავე ერი. გადაეცით განსვენებულის მახლობელ ნათესავებს ჩვენი ნუგეში და სამძიმარი.

**თარხნიშვილები.**

**სუფსა.** სოფელ ჯურუყვეთში წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ ილიას სულის მოსახსენებლად. მარტო ტირილი არ შეიძლება. მზად ვართ შური ვიძიოთ.

**ანთამენი და გიგინეიშვილები.**

**პეტერბურგი.** ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს. **კიტა აბაშიძე.**

**კიევი.** ძვირფას პოეტის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა გულის სიღრმემდის აგვაშფოთა. მკვლელებს ჩვენს ზიზღსა და გულის წყრომას ვუგზავნით.

**ქართველი სტუდენტები.**

**ქუთაისი.** იმერეთის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებლის კორპორაცია გულის სიღრმემდის აღშფოთებულია დიდებულ პოეტისა, ახალ ქართულ ლიტერატურის მამათმთავრისა და ქართველ ერისა და ადამიანის უფლებათა მტკიცე დამცველის ილია ჭავჭავაძის მხეცურ მოკვლის გამო.

**სასწავლებლის გამგე ვარდოსანიძისა.**

**სიღნაღი.** ჩვენ, ჯუგაანელები, უკიდურესობამდის აგვაღელვა ძვირფას პოეტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის უდროო სიკვდილმა. პანაშვიდი გადავიხადეთ.

**ჯუგაანელები.**

**სუფსა** მეტად აგვაშფოთა ჩვენი ძვირფასი პოეტის ტრაგიკულმა სიკვდილმა სუფსელი ინტელიგენცია. სირცხვილი მკვლელებსა და ხელის შემწყობლებს! ვთხოულობთ საზოგადოებისგან მკვლელების აღმოჩენას.

**იალტა.** სამძიმარს ვუთვლით ქართველ ერს ილია ჭავჭავაძის ვერაგულ სიკვდილის გამო. **რაზმაძოვი, ლემუროვი, გოლოზუევი, მენსი და ბაქაშვილი.**

**ბაქო.** ბაქოელი ჟურნალისტები სამძიმარს უთვლიან საქართველოს ტრაგიკულად მოკლულ პოეტის ილია ჭავჭავაძის მეუღლეს. ამხანაგების მონდობილებით: **ნასიძე, კოჩარიანცი, გლასენგაუზი, ალდარბეგ ვეზიროვი, პენტკოვსკი, ბათუევი**

**ქუთაისი.** ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურენი გულის სიღრმემდის აღშფოთებულნი ვართ მხცოვან პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მოკვლით. ზიზღი და მწუხარება იმათ, ვინც საქართველო დასჯრა. გადაეცით ქართველობასა და განსვენებულის ნათესაობას ჩვენი სამძიმარი.

**ლორთქიფანიძე, წერეთელი, წულუკიძე, სვანიძე, ჩიქვაიძე, გეორგობიანი, დადიანი, სვანიძე, ჩიქოვანი, ჩირაქაძე, დავიდოვი, ხახუტაშვილი, მიქელაძე, დადიანი, ჩხეიძე, დგებუაძე, მიქელაძე, ერისთავი, კოლდიაშვილი, ბუაძე, ჩორხალაშვილი, ჩხეიძე, წულუკიძე, ჯაფარიძე, ქანთურიშვილი, ნ. იოსელიანი.**

**ყაზახი.** ეს არის ეხლა გადავიხადეთ პანაშვიდი და მოვიხსენიეთ სული დაუვიწყარ მგოსნის ილია ჭავჭავაძისა, რომლის სიცოცხლე ქვეყნის ნაძირალებმა ასე მოულოდნელად შესწყვიტეს. ამ საზარელმა ამბავმა შეგვაძრწუნა და ღრმად დაგვაფიქრა, საეჭვოა ბედი საბრალო სამშობლოსი, რომელმაც დაბადა მკვლელი მთელი საქართველოს დიდებისა.

**ყაზახელი ქართველები.**

**მოსკოვი.** სიტყვით ვერ გამომითქვამს სასოწარკვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა გონებას მირევს, სინიდისს მიზიდავს. მოჰკლეს ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია, ერის გული.

**ალექსანდრე სუმბათაშვილი.**

**ოდესა.** საშინელმა ამბავმა შეგვაძრწუნა. დარდი ჩვენი უსაზღვროა.

**პეტრიაშვილნი.**

**მოსკოვი.** სამშობლოსთან ერთად ვგლოვობ დიდებულ მგოსნის დაკარგვას.

**ხახანაშვილი.**

**ქუთაისი.** აღარ არის დიდებული ქართველი ილია, ჩვენი ეროვნული დიდება და სახელი! ბილწმა ხელმა დაანგრია ჩვენი წმინდა საკურთხეველი. ეს სამარცხვინო შემთხვევა სიგიჟისა და გადარეულობის ნაყოფია.

**ამხანაგების მინდობილობით ექიმი ბაქრაძე.**

**შორაპანი.** გულის სიღრმემდის აგვაშფოთა და აგვაღელვა ძვირფას და დაუვიწყარ პოეტის ილია ჭავჭავაძის მოკვლამ, არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვხატოთ ჩვენი მწუხარება მკვლელებთადმი, რომელთაც ასე უდროვოდ წაგვართვეს ქართველებს მამა და დამრიგებელი.

**საქგურ შორაპნის მოსამსახურენი და მუშები.**

**მოლითი.** გულით ვგლოვობთ მხეცურად მოკლულს ჩვენს მგოსანსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. სასწავლებელში პანაშვიდი გადავიხადეთ მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასწრებით.

**მეფუთუბნის სასწავლებელი.**

**სოხუმი.** სოხუმის ოლქის თავად-აზნაურობა გულწრფელად აღშფოთებულია კავკასიის საუკეთესო მამულიშვილის თავად ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის საშინელ და მხეცურ მოკვლის გამო. განსვენებულმა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობით სიყვარულის ცნებაზე აღზარდა რამდენიმე ქართველი თაობა. მისი სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან კავკასიის ერთა შორის განავითარა ეროვნული თვითშეგნება და ერთობის გრძნობა. ამიტომ განსვენებულის ხსოვნა ძვირფასია არა მარტო ქართველთათვის, არამედ ყველა კავკასიელთათვის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. დაე ძვირფასი ხსოვნა საერო მგოსნისა და დაბეჩავებულ პიროვნების განთავისუფლების მქადაგებლისა იყოს ნუგეში და ხელმძღვანელი მისთვის, ვისაც შეუძლიან მგოსნისა და ნიჭის პატივისცემა.

**ბაქო.** ბაქოელმა ქართველებმა საზოგადოებისა და პრესსის წარმომადგენელთა დასწრებით პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. განსვენებულის დასაფლავებაზე ბაქოელი ქართველები დეპუტაციას გზავნიან.

**«გეორგის»-ს მუშები.** ჩვენ, 224 მუშა, ამხანაგობა «გეორგის» კანტორის მომუშავენი, «ველაიის» გრანიტის ქვის-კუბიკების [illegible] ჩვენთან ერთად მთელი ჩვენი საზოგადოება გულ-დამწვარნი ვგლოვობთ ჩვენის ქვეყნის დიდებულს მგოსანს, ღირსეულ მამულიშვილს, აღმზრდელ-მასწავლებელს, გამსპეტაკებელს ენისა, ლიტერატურისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა—ილია ჭავჭავაძეს. დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა და სიყვარული ჩვენს სულსა და გულში, როგორც კეთილის მამისადმი უღირს შვილებისა საშვილი-შვილოდ, წყევლა-კრულვა და ზიზღი კი იმ მკვლელთ, ვინც ეს სიმხეცე, ველურობა ჩაიდინა.

მუშების მონდობილობით: **ნოე მესუზალა, ივანე ბერეკაშვილი. სერგო ბრეგაძე, ლავრენტი ბერეკაშვილი, ბესარიონ აბესაძე.**

**ქართული გიმნაზია.** ჩვენ, ქართულ გიმნაზიის მოწაფენი, ღრმად აღშფოთებულნი ვართ საქართველოს ერის სიამაყის, დიდებულ მგოსნის ილიას ვერაგულის მოკვლით. ჩვენის მხრით ვუცხადებთ ზიზღსა და წყევა-კრულვას ჩვენი საზოგადოების ნაძირალებს, რომელნიც თავიანთ უწმინდურის ხელით შეეხნენ უკვდავ პოეტის მომაკვდავ სხეულს. ვუერთდებით მთელის ერის გლოვას.

**მოსწავლენი.**

**სოფ. საგარეჯო.** ორშაბათს, 3 ენკენისთვეს, სოფ. საგარეჯოში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს აურაცხელი გლეხობა დაესწრო, აგრეთვე ინტელიგენტებიც.

**სოფ. ნორიო** (ტფ. მაზრა). დღეს, 2 სექტემბერს, სოფ. ნორიოს ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულის განსვენებულის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. საზოგადოება მალიან ბლომად დაესწრო. ადგილობრივმა მღვდელმა გააცნო დამსწრეთ განსვენებულის მოღვაწეობა. ყველას სევდა-მწუხარების ბეჭედი ესვა. წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ განსვენებულის მკვლელებს.

**ქ. ოზურგეთი.** შესაზარი ამბავი ჩვენის მგოსნის ილია ჭავჭავაძის დაკარგვის შესახებ ჩვენს ქალაქსაც სისწრაფით მოედო. საზიზღარმა მკვლელობამ მოელი აქაური საზოგადოება ააღშფოთა, აქაური ინტელიგენცია ჯერაც გონს ვერ მოსულა. 2 ენკენისთვეს გადახდილ იქმნა პანაშვიდი. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

# ფელეტონი

## ილია ჭავჭავაძეს.

მოჰკლეს იგი, მოჰკლეს გმირი,—
რას გვიშველის ცრემლის დენა?!
ნიჭი დიდი, მხნე და ძვირი
მხეცებს მხეცად მოეჩვენა.
ჩაუსაფრდნენ... სწმენდენ თოფებს...
გეგებათ რამე განა?
მძულვარებით ავადმყოფებს
დორბლი მოსდით პირიდანა.
სიბრიყვეს და სირეგვენეს
ბოლო არ აქვს, არცა ზღვარი,
და ჩახმახი შეაყენეს...
აწ საშველი არსით არი!

—

რომ გამოჩნდა მხნე და დიდი
ის მგოსანი დიდებული,
მისი სახე იყო მშვიდი,
მშვიდად სცემდა მისი გული;
იფიქრებდა იგი განა,
რომ არსებობს კაცი მყრალი,
რომ ამოდის ძირიდანა
ცხოვრებისა ნაძირალი;
რომ იმისთვის სულ ერთია
ერის ხსნა თუ მომავალი,
რომ იმისთვის არც ღმერთია,
არც მაღალი იდეალი?!

—

ჰე სამშობლოვ საყვარელო,
შენ ეხლა ხან წამოჰყავი—
დღე რომ გადგა უსაშველო—
თმაგაშლილი შენი თავი;
ბოლისა და ცეცხლის შუა,
გარს გენიად რომ მოგედო,
არ დაჰკარგე მაშინ ჭკუა,
არ დაეცი უიმედო;
შენ გაჰშალე მწარედ ხელი
და ქვეყანას დაანახე
გადამწვარი ტყე და ველი,
დაკაწრული შენი სახე;
მხნეობითა გასაკვირვით
ჰკრთოდა შენი სილამაზე
და ჰყვიროდი თავ-განწირვით
ძმობასა და ერთობაზე...

—

მაგრამ ეხლა? ეხლა რაღას,
რაღას იტყვი, ქართველის დედა?
რას აჩვენებ მთელ ქვეყანას,
თუ ამ დღეში შემოგხედა?
როცა შენი, შენი შვილი
მოგეპარა ზურგიდანა
და ლაჩრულად ალესილი
შენვე ჩაგკრა ზურგში დანა?
დედავ, თვალებ-ცრემლიანო,
თუ რომ კიდევ გიცემს გული,
როგორ უნდა აიტანო
ეს სირცხვილი ეროვნული?!

—

მოჰკლეს იგი, მოჰკლეს გმირი,—
მერე ვინ და რა პირებმა?
მოჰკლეს იგი, ვით ნადირი,
ჩვენი დროის ნადირებმა.
დასცეს თოფი და მგოსანი
წამლის ბოლში გაეხვია,
გასკდა შუბლი სხივოსანი,
ტვინში მოხვდა ცხელი ტყვია;
რა დავკარგეთ, რა ქონება
ჩვენი ერის ალსადგენად:
ის არ არის, ის გონება,
მობრჭყვიალე მიუწვდენად,
ის ვარსკვლავი დიდებული,
რომლის ნიჭსა არ ჰყავს მბაძე,
შესწყდა ჩანგი მედიდური,
აღარა გვყავს ჭავჭავაძე.

**გიორგი გვაზავა.**

## ილია ჭავჭავაძე,
### როგორც მგოსანი

ჯერ-ჯერობით ძნელია, პირუთვნელი მ ჯავრი დასდოს კალმა ჩვენის მგოსნის ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობას, რადგან ბიოგრაფიული მასალა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ამნაირ შემთხვევაში, არ მოგვეპოვება. იძულებულნი ვართ, მგოსნის იდეათა და აზრთა განვითარებას თვალ-ყური ვადევნოთ მარტო იმის ნაწარმოებთა შემწეობით. თუმცა, ვიმეორებთ, მგოსნის აღზრდასა და იმ პირობების შესწავლას, რომელშიაც იგი ტრიალებდა, უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმის მოღვაწეობის დასაფასებლად, მაგრამ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გარჩევასაც თავისი ღრმა მნიშვნელობა აქვს მგოსნის დახასიათებისათვის, რადგან, ჯერ ერთი, მარტო ამ ნაწარმოებთა შემწეობით მოქმედებდა იგი დანარჩენ საზოგადოებაზე და, მეორე—ეს ნაწარმოებნი წარმოადგენენ მგოსნის განუყრელ ფიქრის მხად ჩამოსხმულს და ერთ ყალიბზედ გამოჭრილს მთავარ აზრებს. ამ მხრივ სიტყვაკაზმულ მწერლობას უპირატესობა აქვს.

ჩვენს წერილებს, დახასიათებას ილია ჭავჭავაძისას, როგორც მგოსნისას, აზრად ისა აქვს, რომ ოდნავ მაინც გააცნოს მკითხველს ახლად დაკარგულ მგოსნის ვინაობა. ამ მიზეზით ეს დახასიათება არც სრული იქნება და არც დამთავრებული და დაწვრილებით შემუშავებული, ყველა ამას დრო უნდა.

მგოსნის ყმაწვილობა და აღზრდა ჯერჯერობით ჩვენთვის სრულიად უცნობია. პირველი იმისი ლექსები ეკუთვნის იმ ხანას, როცა იგი უკვე 20 წლისა იყო და პეტერბურგს მიემგზავრებოდა უნივერსიტეტში შესასვლელად. შემდეგ დროის ნაწარმოებებში ძალიან იშვიათად მოიპოვება მოგონება ყმაწვილობისა. მაგრამ ისიც კი, რაც აქა-იქა გვხვდება, ნათელჰყოფს ჭავჭავაძის ნაწარმოებთა შინაარსის ერთ მხარეს. მგოსნის ოჯახი ეკუთვნოდა იმ ძველებურ თავადთა ოჯახებს, რომელნიც უკვე გაღარიბებულნი და მცირე მამულიანნი იყვნენ და რომელნიც იმ დროის მიხედვით ქალაქის სიახლეს ქალებს უფრო ეტანებოდნენ. თუ ეს ჩვეულება ერთის მხრით მაჩვენებელი იყო მაშინდელ მოწინავე წოდების სხვანაირ შეხედულებისა და მიმართულებისა, მეორეს მხრით ფაქტიურად ამ გარემოებამ, როგორც შეიძლება ჩვენ დავასკვნათ, მგოსანზედ ნაყოფიერად იმოქმედა. აქ შეზავდა ხასიათი დარდიმანდიან სოფლელისა და გულუბრყვილო ადამიანისა, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, კვალი მოქალაქობრივ ცხოვრებისა, მისწრაფება უფრო გონებრივ მუშაობისადმი. მომავალ ბიოგრაფისათვის ამ გარემოების გამოკვლევას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება.

ილიას დარჩა ერთი პატარა მოთხრობა, სახელდობრ „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, სადაც (ნამეტნავად 1 ნაწილში) მოიპოვება მგოსნის ყმაწვილობის დროის მოგონება. ცოცხალი სურათი პატარა ბალღებისა, რომელნიც შემოჰხვევიან საყვარელ მამას და რომელთაც, ცოტა არ იყოს, ერიდებათ დედის მხრისხანებისა, საოცარის წარმტაცი კილოთია დახატული მგოსნის მიერ. იგი უკვე მოხუცია და ყველა ამნაირ მოგონების დროს მასში იღვიძებს ორნაირი გრძნობა: ერთი გრძნობა სიამოვნების მოგონებათა, მეორე გრძნობა სინანულისა იმ ბედნიერ ჟამის გამო. ტკბილია იმისთვის მოგონება წარსულისა და თანაც მწარე, რადგან იგი განვლილია და აღარ მობრუნდება. ტკბილი და თბილი იმიტომ, რომ ის წამები ბედნიერების წამები იყო მგოსნისათვის.

მაგრამ აქ საყურადღებოა თვით ფაქტი ამნაირ ტკბილ მოგონებისა, რადგან ეს თითქმის საზოგადო მოვლენაა, არამედ შინაარსი ამ მოგონებისა. ჩვენ ვტყობილობთ, რომ მგოსნის მამა, აღზრდილი ძველებურ წესზედ, ცოცხალის ენით უამბობს თავის შვილებს არა ზღაპრებს და სხვა სახუმარო გასართობ ამბებს, არამედ ერთნაირის დედა-აზრით გამსჭვალულ ეპიზოდებს და ამბებს წარსულ ცხოვრებიდან, რომ ყოველ იმის მოთხრობაში გამოსჭვივის სინანული ამ წარსულის განვლისა და არ დაბრუნებისა. ამნაირ ხასიათის ერთ პატარა ამბავში, სხვათა შორის, ნათქვამია იმ კითხვაზე: ის ცხენები რაღა იქმნენ, უწინ რომ იყვნენო, ნათქვამია: „იმ ცხენებზედ ის ქართველები შესხდნენ და გაჰქრნენო“.

ეს პესიმისტური კილო მოთხრობისა ერთს საზოგადო წარმოდგენას აძლევდა ბავშვებს სამშობლოს წარსულზედ; იგი ისეთი ტრაგიკული იყო, სამშობლო ბედის ცვლილება კი ისეთი თითქმის უცაბედი და ღრმად შერყეული, რომ მოხარდ თაობას ჯერ ვერ გაეკვლია გზაკვალი ახალის ცხოვრებისა. წარსულის მოგონება, იმის კარგ მხარის, საგმირო საქმეთა თაყვანის ცემა—აი უმთავრესი საგანი იმ მოთხრობებისა, რომლითაც იკვებებოდნენ სიყმაწვილეში მგოსანი და მისი და-ძმანი. ქვემოდ დავინახავთ, რომ აღზრდის ამ მხარეს ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა ილიას პოეზიისათვის. იხსენიებს არა თუ შორეულ, საქართველოს მახლობელ წარსულსაც-კი. მგოსნის ნაწარმოების მთელი ერთი ნაწილი ამნაირის გრძნობით არის დაწერილი და ამნაირად დაიბადა ერთი მხარე ილიას შემეცნებისა—წარსულის გაიდეალება და გათაყვანება.

ილია ჭავჭავაძის აღზრდას სოფელში კიდევ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი ჰხედავდა თანამედროვე მოწინავე წოდების და გლეხ-კაცობის, მათ ურთი-ერთ დამოკიდებულებას. აქედან წარმოიშობა მეორე დარგი იმის ნაწარმოებთა: უარყოფა დღევანდელ საზოგადოებისა და მისი კილვა—აი, უმთავრესი შინაარსი ამნაირ გრძნობითა და მიმართულებით დაწერილ ნაწარმოებათა ჩვენ შეგვიძლიან შემდეგში ისიც დავამტკიცოთ, რომ თავის განვითარებაში ეს ორი სხვა და სხვა გრძნობა ბოლოს ურთი-ერთში ზავდება და დუღდება საზოგადო კაცობრიულ ნიადაგზედ, რომ საქართველოს წარსულის ქებიდან (რასაკვირველია, მარტო იმის კარგ მხარეებისა) და აწმყოს ძაგებიდან მგოსანი გადადის საზოგადო მსოფლიო საკითხებზედ, მსოფლიო პრობლემებზედ. ამას მოწმობენ „ოთარაანთ ქვრივი“ „სახრჩობელა“ „განდეგილი“ და მგოსნის მოსწრებული „დამაკვირდი“. ამ გვარი შეერთება და შეზავება საკვირველი არ არის, რადგან, როგორც ვიცით, მგოსანი წარსულში აქებდა მარტო კარგ მხარეებს, ხოლო აწმყოს აძაგებდა მარტო იმიტომ, რომ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ღირსების შემლახველ თვისებებს. ამნაირად, ერთსაც და მეორესაც მგოსანი აფასებდა სა-

**საგარეჯო.** ღრმად აღშფოთებულმა და შეძრწუნებულმა მხცოვან მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საზარელ და უსვინდისო მკვლელობით, საგარეჯოს საზოგადოებამ, ეროვნების განურჩევლად, 3 სექტემბერს გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. შემდეგ წარმოითქვა ღრმა მწუხარებით აღსავსე სიტყვები და გამოეცხადა უსაზღვრო ზიზღი უგ-ნურ და ბილწ ბოროტ მოქმედებს.

—

**ვაკეთა მეორე გიმნაზია.** ჩვენ, ტფ. ვაკეთა მეორე გიმნაზიის მოწაფეთა ერთი ჯგუფი აღშფოთებულნი ვგლოვობთ საქართველოს ვარსკვლავის, მგოსნის ილია ჭავჭავაძის დაკარგვას. ვუერთდებით საერთო მწუხარებას. ჩვენის მეცადინეობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

## პრუსიის მთავრობა და პოლონელები.

არა ერთხელ გვისაუბრნია მკითხველთან პოზნანელ პოლონელების მდგომარეობაზე და არა ერთხელ აღგვინიშნავს პრუსიის მთავრობის ბარბაროსული პოლიტიკა.

მკითხველმა იცის, რომ ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში დაიწყო პრუსიის მთავრობამ ნამდვილი ჯვაროსნული ომი პოლონელების წინააღმდეგ და ამ ომიანობის მთავარი იარაღი იყო საკოლონიზაციო კომისიის დაარსება: 200 მილიონი მარკა გადასცეს საგანგებოდ შედგენილ საკოლონიზაციო კომისიას პოლონელების ადგილ-მამულის საყიდლად და ამ ადგილებზე გერმანელ კოლონისტების დასასახლებლად.

დიდი იმედი ჰქონდა პრუსიის მთავრობას, რომ ამ ღონისძიებით პოლონელებს აღგვიდა პირისაგან ქვეყნისა და მოსწონდა კიდეც თავი ასეთის მაკიაველისტურ პოლიტიკით: პოლონელებს გადასახადებს ართმევდნენ, როგორც პრუსიის მეფის ქვეშევრდომებს, და ამ ფულით ისევ პოლონელებსავე უპირებდნენ მოსპობას. ბისმარკი ურცხვის სიამაყით აცხადებდა: დღეიდან პოლონელები აღარ არსებობენო.

და განა მოსალოდნელი არ იყო ერთი მუჭა (სულ სამი მილიონი პოლონელია პრუსიაში) პოლონელების სრული დამარცხება, როცა პრუსიის მთავრობისა და მოხელეობის მთელი ძალა იყო მიმართული მის წინააღმდეგ? მით უფრო რომ მთავრობას მხარს უჭერდა გერმანიის რიცხვმრავალი და მდიდარი ნაციონალისტური წრეები.

ზოგადო კაცობრიულ საზომით. ამ გარემოებამ, ამ საზოგადო კაცობრივმა თვალთახედვამ მგოსანს შეძლება მისცა გამოსულიყო იმ ვიწრო ფარგლიდან, რომელსაც მას წინ უშლიდა პატარა სამშობლო თავის წვრილმან ცხოვრებით და გამოურკვეველ მისწრაფებით, და დაეწერა მსოფლიო იდეით განმსჭვალული ნაწარმოებნი, აშენებული არა ქალ-ვაჟთა სიყვარულზედ, არამედ ადამიანის ცხოვრების ღრმა დართულ საკითხ-ზედ.

ჩვენ საჭიროდ ვცანით აღგვენიშნა ეს განსაკუთრებული პირობანი და ხასიათი მგოსნის აღზრდისა (რამდენადაც ამის შესახებ ცნობები მოგვეპოვება), იმიტომ რომ მხოლოდ ამნაირად არის შესაძლებელი იმის ნაწარმოებათა დაფასება და გაგება. ყოველივე ეს წარმოადგენს ერთის დედა აზრისა და იდეის სისტემატიურად, თითქოს განგებ დამუშავებულს განვითარებას და გაგრძელებას. ეს თვისება ისე არავის არ ახასიათებს ჩვენს მწერლებში, როგორც ილიას. განუწყვეტელი მიმდინარეობა ერთის აზრისა, იმისი მართულება, შესწორება და უფრო ღრმად დასმა და არა ხან ერთ და ხან მეორე საგანზედ გადახტომ-გადმოხტომა—ყველა ეს დიდად განასხვავებს ილიას ნაწერებს დანარჩენ მგოსანთა ნაწერებისაგან.

მაგრამ არის მესამე მხარეც სოფლურ აღზრდისა, რომელიც ცხადად ატყვია მგოსნის ნაწარმოებებს—ბუნების სიყვარული მართალია ეს თვისებაა ყველა იმ მწერლისა, რომელიც აწმყოში არარას ჰპოვებს და წარსულში ეძებს კარგს მხარეებს, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, ვითომ ილია ისევე უცქერის ბუნებას, როგორც ბაირონი, ლერმონტოვი ან ბარათაშვილი. იგი, მართალია, პესსიმისტურ კილოზეა მომეტებულად მომართული, მაგრამ მაინც მასში სდუღს სურვილი წინსვლისა, ბრძოლისა და არა თუ ბრძოლისა, გამარჯვების იმედითაც არის გატაცებული.

(შემდეგი იქნება)

პოლონელების მოსპობის მომლოდინეთ ერთი რამ დაავიწყდათ: თავის დაცვის და შენახვის ძლიერი ინსტიკტი, რომელიც ყოველ ერში არის, და მხურვალე მამულისშვილის გრძნობა, რომლითაც გაჟღენთილია თითეული პოლონელი. განსაცვიფრებელი სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს პოლონელებმა, მედგრად შეებრძოლენ საკოლონიზაციო კომისიის მოქმედებას და ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ უკან.

დამარცხებული პრუსიის მთავრობა ქვეყანას შესჩიოდა: გალაღდნენ პოლონელები, სამშობლო განსაცდელშია და ახალი ფულები მოგვაშველეთ, თორემ დავიღუპენითო.

საკოლონიზაციო ფონდი ნახევარ მილიარდ მარკამდე აიყვანეს, რეპრესიებსა და ძალმომრეობას უმატეს, მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს პოლონელ ხალხის საკვირველი სიმტკიცე. პრუსიის მთავრობა იძულებული შეიქმნა საქვეყნოდ აღიარებინა თავისი სამარცხვინო დამარცხება.

აღმოჩნდა, რომ საკოლონიზაციო კომისია მეტ წილად გერმანელ მემამულეთაგან ყიდულობდა ადგილ-მამულს და არა პოლონელებისაგან; უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში გერმანელების რაოდენობას პოზნანში მოჰმატებია სულ $3^3/_4$ პროცენტი, პოლონელებს კი სამჯერ მეტი—$10^1/_2$ პროცენტი. სულ უკანასკნელ დროს კი გერმანელი ელემენტი სულ სტოვებს პოზნანს და სხვაგან ესახლება: მიდიან მემამულენი, მიდიან ხელოსნები და ვაჭრები და ეს მოვლენა პირდაპირი შედეგია მთავრობის პოლიტიკისა და საკოლონიზაციო კომისიის მოქმედებისა.

შეუბრალებელმა ეროვნულმა დევნამ ისეთი ეროვნული მძულვარება დაჰბადა პოზნანში, რომ გერმანელი ხელოსნები, ვაჭრები და თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელნი ვეღარ სძლებენ იქ; მეტ წილად საქმესა და მუშტარს ვერ შოულობენ, რადგან მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა პოლონელებია და ესენი კი ძალიან ერიდებიან გერმანელებთან საქის დაჭერას.

საკოლონიზაციო კომისიის მოქმედებამ საშინლად ასწია მიწის ფასები და გერმანელი მემამულენი სიამოვნებით ჰყიდიან თავიანთ ადგილ-მამულს, რადგან სხვაგან გერმანიაში ორ იმოდენა ადგილს ჰყიდულობენ აქ აღებულ ფულით, თან შორდებიან მტრულის გრძნობით მოწამლულ ჰაერს.

არ გასაჭრა საკოლონიზაციო ფონდმა და ახალი ღონისძიება გამოიგონეს: რაკი პოლონელი იშვიათად ჰყიდის თავის მამულს ან თუ ჰყიდის, ისევ პოლონელივე ყიდულობს, იძულებითი გაყიდვა შემოვიღოთ და საზოგადოთ ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის საქმე პრუსიის პოლონეთში კომისიას დაუქვემდებაროთო; მყიდველი უთუოდ გერმანელი უნდა იქნეს, მიწის ფასსაც გერმანელების კომისია გადასწყვეტსო.

მთავრობის ეს განზრახვა კარგა ხანია გამომჟღავნდა, მაგრამ მერე საქმე მიყუჩდა: მთავრობამ ვერ გაბედა შესაფერ კანონპროექტის წარდგენა, რადგან იმედი არ ჰქონდა თავისი გაეტანაო, სწერდნენ გაზეთებს. უკიდურესი კონსერვატორებიც კი წინააღმდეგობას აცხადებენო, უწატებდნენ სხვები.

მართლაც მთავრობის განზრახვის სისრულეში მოყვანა ხომ საკუთრების პრინციპის უარყოფა და წმინდა წყლის ექსპროპრიაციაა; დღეს თუ ეს პრინციპი პოლონელ მემამულეებზე იხმარეს და, ეგრე ვთქვათ, შებღალეს ბურჟუაზიულ საზოგადოების უწმინდესი პრინციპი კერძო საკუთრებისა, ხვალ გერმანელ მესაკუთრეებს მოელის იგივე დღე ხალხისაგან.

ასე მსჯელობდნენ წინდახედული გერმანელი მესაკუთრენი და თითქოს იმედი იყო, რომ მთავრობა საბოლოოდ გამოეთხოვებოდა თავის საშიშ განზრახვას, მაგრამ, როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, კანცლერ ბიულოვს დიდი მოლაპარაკება აქვს თურმე გამართული პარტიების მეთაურებთან და საგანი მოლაპარაკებისა სწორედ ეს განზრახვაა.

არ იშლის პრუსიის მთავრობა მძულვარებისა და ძალმომრეობის პოლიტიკას, არა თუ არ იშლის, არ ერიდება ისეთ ღონისძიებასაც კი, რომელიც დედა ბოძს უნგრევს თვითონ მასა და მთელ ღლევანდელ წესწყობილებას. პოლონელები არ მოისპობიან და შედეგი მთელის ამ დაწყებულებისა ის იქნება, რომ საკუთრების პრინციპი, დღემდე წმინდად მიჩნეული შეუგნებელთაგან, შეილახება და პრუსიის მთავრობა საბოლოოდ სახელს გაიტეხს ხალხის თვალში.

## ახალი ამბავი

✦ **ქალების კრება.** 4 სექტემბერს, ნ. ნაკაშიძის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ქართველ ქალებისა იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ სცენ პატივი განსვენების დღეს ილია ჭავჭავაძის ცხედარს. კრებამ აღშფოთებით მოისმინა საშინელი ამბავი და ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. დასასრულ კრებამ დაადგინა: 1. არჩეულ იქნას დეპუტაცია (სამი ქალი), საგურამოში გასაგზავნად ცხედრის გამოსაცილებლად; 2. შეამკოს გვირგვინით განსვენებულის ცხედარი; 3. 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, გადაიხადოს ქართველ ქალთა სახელით პანაშვიდი; 4. ქართველი ქალები ცხედარს შეჰხვდებიან ვერაზედ ჯვართან პარასკევს, 2 საათზედ, და 5. დაავალოს ერთს მანდილოსანს სიტყვა წარმოსთქვას განსვენებულის დაკრძალვის დღეს.

✦ **პანაშვიდი.** გუშინ, 5 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ინიციატივით, სიონის საკრებულო ტაძარში დეკანოზმა მ. ტყემალაძემ გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ საზოგადოების გამგეობის წევრნი და სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

✦ **პანაშვიდი.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, სიონის ტაძარში ქართველ ქალთა მიერ გადახდილი იქნება პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად.

✦ **პოლიტიკური საქმე.** ორშაბათს, 3 სექტემბერს სამოსამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყო გარჩევა პოლიტიკურ საქმისა. სამართალში მიცემულნი არიან გორის მაზრის მცხოვრებნი ალ. კეცხოველი, მარიამ გულამბარაშვილი, ზ. ჩარუევი და ვ. მაჭუტაძე, რომელთაც ჰბრალდებათ სხვებთან ერთად არსებულ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საქმისთვის მრავალი მოწმეა დაბარებული, ასე, რომ საქმის გარჩევა კიდევ რამდენსამე დღეს გასტანს. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი და სხვები.

✦ **ჩამოხრჩობა.** 4 სექტემბერს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ გენერალის რატინსკის თავმჯდომარეობით განიხილა პოლიტიკური საქმე ლოლაძას მოსამსახურის ვლადიმერ გუდაძისა, რომელსაც პოლიტიკურის განზრახვით ლოლაძის დარაჯის ალი-შაქარ-ოღლის მოკვლა ჰბრალდებოდა. საქმის გარჩევამ გასტანა საღამომდე. სასამართლომ ამავე დღეს გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გუდაძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ჩამოხრჩობა.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი** იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე რკინის გზის გამგეობაში მოსამსახურენი სარდიონ ლოგუა, ნიკ. პრუტი, ის. ნორდშტეინი და კონსტ. მატვეევი; პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე ივ. თამაროვი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ: ა. ბარაბასს, არ. მიშკინს, ივ. კოხტაშვილს. დაიჯარიმეს: ხუთი თუმნით მედუქნე კ ოსკანოვი; 25 მანეთით სახლის პატრონი ანასტასია წერეთელი. დაკეტეს ლუდხანა სამსონ კობერიძისა.

✦ **ტფ. ქართულ გიმნაზიის გამგე** ტფილისში მყოფ გიმნაზიელებს პარასკევს, 1 საათზე გიმნაზიაში იწვევს, საიდანაც ყველანი ერთად წავლენ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ცხედრის დასახვედრად.

✦ **თავდასხმა.** 4 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, შუა ბაზარში მე-22 №-6 სახლში შევარდნენ შეიარაღებული კაცები, რომელთაც კუკუჯანოვის მემკვიდრეებს ფული მოსთხოვეს. გაიტაცეს მაღაზიის კასიდან ფულად 1934 მან. და მიიმალნენ.

✦ **მკვლელობა.** 4 სექტემბერს, დილის 6 საათზედ, შუა ბაზარში, აკიმოვის ქუჩაზედ, ნავთის სარდაფში ნახეს მოკლული სპარსეთის ქვეშევრდომი ნიშან ხაჩატურიანცი. პოლიციას დაუპატიმრებია მარქარ კრიკორიანცი, სალმას ოვანესიანცი და აკოფ აკოფოვი. დაპატიმრებულთ უნახეს 370 მან., რომელიც ხაჩატურიანცისათვის წაერთმიათ.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ნ. ე—ნის ახალი წიგნი „ანარქიზმი"- გამოცემა „კოლხიდისა". წიგნი 190 გვერდამდე შეიცავს და ღირს 30 კაპ.

✦ **დაპატიმრება.** 4 სექტემბერს, ღამის 12 საათზედ, პოლიციამ დააპატიმრა ბაგრატ ხუბოროვი და ივანე რამაზაშვილი, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ რევოლვერები. დაპატიმრებულთ ჩამოართვეს იარაღი და გაგზავნეს საკომენდანტო სამმართველოში.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობამ პოლიციას სთხოვა აღუკრძალოს ქალაქის საზღვრებში დორების ყიდვა მცხოვრებლებს.**

✦ 4 სექტემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს დარისპან ვაწაძე, რომელმაც 31 აგვისტოს დასჭრა ანტონ ერაძე.

✦ 4 სექტემბერს ისმაილოვის ქუჩაზე მიწის მზომელს მიხეილ ტარაპატოვს, შინ არ ყოფნის დროს, მოჰპარეს 250 მანეთის ნივთები.

✦ 4 სექტემბერს შუ ბაზარში ოქრო მჭედლის მიხეილ იმედაძეს სახელოსნოდან ვიღაცებმა მოჰპარეს 463 მანეთის ნივთები.

✦ 4 სექტემბერს ტატიანი ქუჩაზე ევგენი ლილოვის ბინაზე სახლის პატრონის შინ არ ყოფნის დროს, მსახურს ნიკოლოზ ქობულიას, პოლიციის გამოძიებით, მოუპარავს 220 მან. ნივთები. ქობულია დააპატიმრეს.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 2 ენკენისთვეს ქართულ გიმნაზიის სამზ. კომიტეტისა და თ.-აზნ. მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილიას სული მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი მიაწყდა. ტაძარმა რომ ვერ დაიტია ხალხი, იგი გარედ მოთავსდა. პანაშვიდი დაიწყო ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვით, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა: რა გვეთქმოდა, ან რას გავარიგებდით, გარდა ჩვეულებრივ გლოვატირილისა, ასეთი უბედურება რომ დაგვტეხოდა თავსა ბუნებრივ სიკვდილის გამო, რადგან ვიცით, რომ ბუნება თავისას თხოულობს, მას ვერავინ ვერ გადუდგება წინ, მან არ იცის შიში და რიდი, იგი არავის არაფერში ანგარიშს არ აძლევს. მაგრამ მწუხარება ორკეცდება, გვიმწარდება და აუტანელად გვიხდება იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის მშვენიერებას მზე დაუბნელა,—ვაი სირცხვილო,—კაცმა, თუ კი „კაცობა ეთქმის-ღა ამ უბედურობის ჩამდენს"!

„ილიას რომ ეხლა ლაპარაკი შეეძლოს და ესმოდეს ეს ჩვენი ტირილ-ქვითინი, უეჭველია, იტყოდა იმას, რაც უთხრა იერუსალიმელ დედებს გოლგოთაზე საწამებლად მიმავალმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ: „ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა". ვიტიროთ და ვიგლოვოთ ჩვენი თავები, რომ სამუდამოდ შერცხვენილნი და ჩამუს გატეხილნი ვრჩებით ქვეყნისა და ილიას წინაშე, თორემ თითონ ილია, როგორც აქ იყო განათლებული და სახელოვანი, ისე იმ ქვეყნად იქნება."

პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მაზრის თანამდებობის აღმასრულებელმა, ხოლო იმის შემდეგ მოსე ქიქოძემ წარმოსთქვა სიტყვა. მან სხვათა შორის სთქვა:

„ძნელი გასაბედია ამოდენა საზოგადოების წინაშე იმ უბედურ მომენტის დაფასება, რომლის მოწმენი ჩვენ შევიქენით. მაგრამ გაჩუმებას ეს კადნიერება ვამჯობინე. 30 აგვისტო არ დაავიწყდება იმ ქართველს, რომელსაც არ დაუკარგავს ადამიანის სახე, რომლის ჭკუა-გონება ჯერ კიდევ არ გალაყებულა და რომლის გრძნობა არ გათახსირებულა. საზოგადოსენი მკვლელობისა მოედო ჩვენს ქვეყანასაც; ამის მაგიერად, რომ ხელს ვუწყობდეთ ადამიანის დღეგრძელობას, ჩვენ ერთმანეთზე ავმხედრდით და საქმე იქამდის მივიდა, რომ მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე. რისთვის, რა დააშავა? რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ბრძოლით დაქანცული საქართველო პირად ღირსებისა და თავისუფლების დასაცველად რუსეთს მიენდო; დაღლილმა მოსვენებას მისცა თავი; განსვენება გადაექცა ღრმა ძილად, იმდენად ხანგრძლივი იყო იგი, რომ მოსალოდნელი იყო ძირიანად აღმოეფხვრა ხალხის თვით შეგნება.

საბედნიეროდ ერს მოევლინა მისი დიდება ნ. ბარათაშვილი, რომელმაც გულის სიღრმიდან ძლიერის ღვთიურის გრძნობით დასძახა მძინარე აღსდექით, თვალები გაახილეთ, თორემ ქვეყნის ზურგიდან აღიგვებითო. უდროოდ დაკარგეთ ეს ზეცით მოვლენილი მოციქული. საშოციანმა წლებმაც მოგვისწრეს თავის დაუვიწყარ მოღვაწეებით. ამათ შორის პირველი ადგილი განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს ეჭირა. იმანაც იმავე გულის სიღრმიდან, იმავე ღვთიურის და ძრიელის გრძნობით მოიწოდა თანამემამულენი თვით შეგნების გზაზე. ილია არ ეკუთვნის რომელსამე წრეს ან წოდებას. იგი ეკუთვნის ყველა მუშაკთ. პატიოსან მუშაკთ! მათთვის ძგერდა ილიას გული, მათთვის იჭმუხნოდა მისი პატიოსანი შუბლი! განგმირეს ეს გული და ეს შუბლი! ილიას ხსენებას მუდამ ჟამს თავს ედგმება ბრწყინვალე გვირგვინი დიდებისა. იმის სახელს ვერავინ შეჰბღალავს, ხოლო თვით ის საზოგადოება, ის ხალხი, რომელმაც ვერ შესძლო თავის საუნჯის დაცვა, ღირსია გაკიცხვისა. ვიტიროთ ჩვენ ჩვენი დაბეჩავებული თავი და არა უკვდავი, დიდებული ილია.»

✦ 1 ენკენისთვეს გარდაიცვალა ცნობილი ვაჭარი მარდახა ციციაშვილი, რომელიც ექსპროპრიაციის მსხვერპლი გახდა. წინა დღეს მარდახას რამდენიმე კაცი შეჰყვა სახლში და ფული მოსთხოვა. მარდახამ ყვირილი დაიწყო და ამით შეშინებულმა შვილმა მარდახასამ, რომელიც ამ დროს სარკმელთან იდგა, თავის მხრითაც შეჰქმნა ყვირილი. შეიკრიბა ხალხი. ექსპროპრიატორებმა თავი რაღაც მანქანებით დააღწიეს, ხოლო თვით მარდახა გულ-წასული ნახეს. მობრუნებით კი მობრუნდა, მაგრამ მცირე ავადმყოფობის შემდეგ მოკვდა.

## ხოლერა

**ნოვოროსისკი.** ქალაქი და ოლქი ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს.

**ასტრახანი.** 3 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 35 კაცი, გარდაიცვალა 21, ფორპოსტში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5. მაზრებში ავად გახდა 42, გარდაიცვალა 15.

**უფა.** ჩელიაბინსკში მიმავალ მატარებლიდან ჩამოიყვანეს ერთი საეჭვო ავადმყოფი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 3 სექტემბერს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 1.

**სიმბირსკი.** 3 სექტემბერს სიზრანში გემიდან გადმოიყვანეს ერთი ავადმყოფი. რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა 3 კაცი.

**სარატოვი.** ქალაქში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 5. გუბერნიაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 5.

**სამარა.** ქალაქში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, გუბერნიაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 11.

**ყაზანი.** 3 სექტემბერს ავად გახდა 2. კოზმოდემიანოვსკის მაზრაში ავად გახდა 1. ტეტიუშში ავად გახდა 1.

## მარიამ სალარიძისა.

2 ენკენისთვეს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, ბაკურიანში გარდაიცვალა მასწავლებელი ქალი მარიამ მიხეილ ქამუტაშვილის ასულის სალარიძისა.

იგი არ იყო არც მწერალი და არც გამოჩენილი მოღვაწე, მაგრამ ვინც კი პირადად იცნობდა განსვენებულს, უეჭველია, დიდ დანაკლისად ჩასთვლის მარიამის უდროოდ დაკარგვას.

ჩვენ განათლებულ და ერთის მხრით გადაგვარებულ ქალთა შორის მარიამი თითით საჩვენებელი იყო. იგი იყო გულწრფელი მამულიშვილი, უზომოდ და უანგაროდ მოყვარე თავის ქვეყნისა და მშრომელის ხალხისა. აქაურ გარემოების გამო მოღვაწეობა ბაქოს გუბერნიაში მოუხდა, მაგრამ თავისის ნიჭის წყალობით თავისის მადლით მოსილ გულ-გონების მეოხებით იხეთი პატივისცემა დაიმსახურა სომეხ და თათარ ბავშვთა შორის, რომ მგონი სიკვდილამდე არ დაივიწყებენ.

დაუღალავმა შრომამ, სელ-მოკლეობამ და ათასგვარმა უსიამოვნებამ უდროოდ დაასუსტა მისი სხეული და ჯერეთ სრულიად ახალგაზდამ—2 ენკენისთვეს ბაკურიანში დალია სული.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ძვირფასო დაო მაშო!

**ია ეკალაძე.**

## მუშების ცხოვრება

**ძველი ტანისამოსის მაღაზიების მომუშავენი.** ყველა სხვა დარგში ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები, მხოლოდ მუშიდე ნაწილის

ძველი ტანისამოსის მოვაჭრენი ეპყრობიან საზიზღრად თავიანთ ნოქრებს. უნდათ წაართვან ის, რაც წინად მოიპოვეს. ზოგიერთი იმასაც გაიძახის, დავითხოვოთ ჩვენი ნოქრები და მოვიყვანოთ სოფლის სხვა ბიჭებიო. წარბ შეუხრელად არღვევენ მოპოვებულ პირობებს. სურთ არ მისცენ პურის ფული, პროცენტები; გაადიდონ სამუშაო დრო და სხვა. ტყუილად ფიქრობენ მაღაზიის პატრონნი, რომ თავისას გაიტანენ. იმათ იმედი აქვთ, რომ ჩვენ მარტონი ვართ და სხვა ჩვენსავით გაჭირვებული მშრომელნი მხარს არ დაგვიჭერენ. იმედი მალე გაუცრუვდებათ. **შაქრო, განო, ნიკა, ნიკო მუშა.**

# რუსეთი

✦ **საარჩევნო შეთანხმება.** სოც.-დემოკრატებსა, სოც.-რევოლ., სახალხო სოციალისტთა და შრომის ჯგუფის შორის მოლაპარაკება დაიწყო საარჩევნო შეთანხმებაზე. შრომის ჯგუფი და სოც.-რევოლიუციონერები ვერ შეთანხმდნენ. რადგან სოც.-რევ. განაცხადეს, რომ პარტიის საბჭომ ბოიკოტი გადასწყვიტა და ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთო. სამაგიეროდ შრომის ჯგუფი და სახალხო სოციალისტთა პარტია შეთანხმდნენ. სოც.-დემოკრატები ვერ შეუთანხმდნენ ვერავის, რადგან კონფერენციის გადაწყვეტილებით სოც.-დემოკ. პარტია იმ ქალაქებში, სადაც პირდაპირი არჩევნები იქნება, დამოუკიდებლად გამოდის და მხოლოდ ხელმეორე არჩევნებში შეუძლიან შეუერთდეს სოციალისტურ პარტიებს. ამრიგად პეტერბურგში ერთად გამოდიან საარჩევნო ველზე სახალხო სოციალისტები, შრომის ჯგუფი და უპარტიო პროგრესისტთა ჯგუფი. საცაა საერთო ინფორმაციონური ბიურო დაარსდება.

✦ **ა. სუმბათაშვილის იუბილეი.** წრეულს შესრულდა 25 წელიწადი განთქმულ არტისტისა და მწერლის ა. სუმბათაშვილის (იუჟინის) მოღვაწეობისა. ოფიციალურად იუბილეი გადახდილ იქნება მოსკოვში შემოდგომაზე.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

4 სექტემბერი.

**ტულა.** დაიწვა თეატრი „ერმიტაჟი“. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არ იციან.

**ჩერნიგოვი.** დაბა დოლისოვკაში დაიწვა 42 სახლი.

**ზინკოვი.** სოფ. მერკულევკაში დაიწვა 10 სახლი ჭურველისავე სარჩო საბადებლიანად. ზარალი 29,000 მანეთამდეა.

**ლოძი.** რევოლვერით დასჭრეს ამ დღეებში მოკლულის ზილბერშტეინის ფაბრიკის მუშა. დააპატიმრეს 14 მუშა.

ბალტიის მიდამოებში ქუჩაში იპოვნეს მუშის გვამი. მუშა ტყვიით მოკლული აღმოჩნდა.

**ოდესსა.** სამი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა კოგანის წისქვილის მეარტელეს. წაართვეს 876 მანეთი.

მოკლულის უბნის ზედამხედველის ხახაჩენკოს დასაფლავების დღეს წეს-რიგის დასაცველად გენ. გუბერნატორმა ჯარისა და პოლიციის გაძლიერებული რაზმები დანიშნა. კუბოს თვითონაც მიჰყვებოდა. დასაფლავებამ მშვიდობიანად ჩაიარა. დასაფლავების შემდეგ ბოლგარსკის ქუჩაზე ვიღამაც რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა. მოკვდა ერთი ებრაელი და ერთი ქრისტიანი ახალგაზდა ქალი. ქალაქში გაძლიერებული პატრული დადის. გენ. გუბერნატორმა თვითონ შემოიარა საშიში ადგილები. ორი თვით დააპატიმრეს რუსთა კავშირის ხუთი წევრი, რადგან ისინი ერივნენ იმ ბრბოში, რომელმაც ქუჩაში უწესობა მოახდინა და სროლა ასტეხა.

**რეჟიცა.** დაბა ვარკლიანის მახლობლად ერთ სახლში ბოროტ-მოქმედნი იმალებოდნენ. დრაგუნთა რაზმმა მათი შეპყრობა მოინდომა, მაგრამ, ერთის გარდა, ყველანი გაიქცნენ. დარჩენილმა სროლა ასტეხა და ერთი დრაგუნი მოჰკლა. მსროლელი ჯარს არ დანებდა და ამიტომ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. დრაგუნის მკვლელი დაიწვა. სანამ მოკვდებოდა, თოფი ასჯერ გაისროლა. მოკლული დრაგუნი დიდის ამბით დაასაფლავეს.

**მოსკოვი.** სამხედრო სასამართლომ გაასამართლა სამეურნეო ინსტიტუტის ხაზინადრის მძარცველები. მიუსაჯა: ორს სიკვდილით დასჯა, ორს კატორგა. ნათიეცი ვექილი ქდანოვი გაამართლა.

**ოდესსა.** 3 სექტემბერს მოლდოვანკაში წესრიგი აღადგინეს, თუმცა აქა-იქ ცემა-ტყეპა კიდევ განმეორდა.

**რიგა.** 3 სექტემბერს, ვალკას მახლობლად, ტყეში დაიჭირეს 16 კაცისაგან შემდგარი კრება. ორმა ჯარსა და პოლიციას სროლა აუტეხა. შეიპყრეს ერთი დიდი დამნაშავე, რომელიც წინად ოდესსა და პეტერბურგში სცხოვრობდა და შემდეგ ინგლისში გაიქცა. უპოვნეს მაუზერი და სრევოლიუციონერების საკვიტანციო წიგნი.

**ფეოდოსია.** რუსის სანაოსნო საზოგადოების გემზე დააპატიმრეს 20 მგზავრი. ათი კაცი სამხედრო ტანისამოსში იყო გამოწყობილი და პირველის კლასით მიდიოდა. მათ გემის გაძარცვა ნდომებოდათ. გემი ნოვოროსიისკისკენ მიდიოდა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა ჯავშნოსან „როსტისლავი“ს და „პანტელეიმონ“-ის მატროსების საქმის გარჩევას. ჰბრალდებათ მთავრობის მოხელეთა ამოხოცვა.

**მოგილიოვი.** თავის სახლში მოჰკლეს როგაჩოვის მაზრის საერობო უფროსი. მკვლელმა მოიტაცა ქისა და საათი.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს წეს-რიგი იმისა, თუ რამდენი და რანაირად უნდა გადაასახლევინონ საგანგებო ბაჟი სადგურის ბაქანში გამოსვლისათვის იმ პირთ, რომელნიც რკინის გზით მიმავალ ნაცნობ-ნათესავებს აცილებენ.

**მოსკოვი.** 2 სექტემბერს აირჩიეს 225 რწმუნებული მოსკოვის, ბოგოროდსკის, ბრონიცკის, ვერეისკის, ვოლოკოლამის, ზვენიგოროდსკის, კოლომენსკის, მიჟაისკის, პოდოლსკის, რუზსკის და სერპუხოვსკის მაზრების ვოლოსტებში. ორი არჩეული ეკუთვნის „რუსის ხალხის კავშირს“. 29 თავისს თავს მონარქისტად ასახელებს, 52 მემარჯვენეა, 170 ზომიერი, 33 მემარცხენე და 4 უკიდურესი მემარცხენე. ბოგოროდსკის, ბრანიცკის, ვერეისკის, ზვენიგოროდსკის, კლინსკის, კოლომენსკის, პოდოლსკის, რუზსკის და სერპუხოვსკის მაზრებში მუშებმა აირჩიეს 133 რწმუნებული. ერთი „რუსის ხალხის კავშირის“ წევრია, 23 ს.-დემოკრატი, 5 თავისს თავს მონარქისტს უწოდებს, 4 მემარჯვენე, 74 ზომიერი, 25 მემარცხენე და 1 უკიდურესი მემარცხენე. ვოლოკოლამის მაზრაში მუშების არჩევანი არ შესდგა.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა ას ასი თუმნით დააჯარიმა რედაქტორები „სლოვო-დნაია მისლი“-სა დავიდსონი და „პეტერბურგის ვედომოსტი“-სა თავ. უხტომსკი, რადგან მათ დაარღვიეს 1907 წლის 2 ივლისის სავალდებულო დადგენილება. თუ ფული ვერ გადაიხადეს, თვე ნახევარი საპატიმროში უნდა ჩასხდნენ.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

4 სექტემბერი.

**ზალცბურგი.** დაიწყო მეცხრე საერთაშორისო კონგრესი მუშებისა. პრეზიდიუმში აირჩიეს ინგლისის საზოგადოებათა პალატის წევრი ედვარდი, რომელმაც კონგრესი გახსნა.

**სტამბოლი.** გაზეთები ოფიციალურად იუწყებიან, რომ სულთანმა ირადე გამოსცა ახალ ირადეს ძალით, პროვინციაში უნდა გაიხსნას სამი ახალი ფაკულტეტი. მიიღებენ მაჰმადიანთაც და არა მაჰმადიანთაც. სასამართლოს უწყებაში სამსახურის დროს ამ ფაკულტეტში კურს დამთავრებულთ უპირატესობას მისცემენ.

**თეირანი.** ოსმალეთის ჯარის გადმოსვლა და ხალხს ძლიერ აღელვებს. მეჯლისმა მოითხოვა, რომ მინისტრებმა და სარდლებმა აცნობონ, რა ზომებს იღებენ. მეჯლისის აზრით, მარტო დიპლომატიურის მოლაპარაკებით არა გაკეთდება რა.

**ტანჟერი.** შაუების წარმომადგენლებმა მიიღეს გენერალ დრიუდის ყველა პირობა. ისინი აპირებენ სხვა ტომებთან წასვლას და ხუთშაბათისთვის კაზაბლანკაში დაბრუნებას, რათა თან ჩამოიყვანონ ამ ტომთ, წარმომადგენელნი საერთო მორჩილების გამოსაცხადებლად.

**კაზაბლანკა.** კაზაბლანკის შერიფი საფრანგეთის ეხნს წარუდგინეს. შერიფმა საფრანგეთის ბანაკი დაათვალიერა და მიიღო სამი ყაიდი, რომელნიც ჩამოვიდნენ მშვიდობიანობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

**ტოკიო.** 27 აგვისტოს ჯავშნოსან „კაშიმა“-ზე, პრაქტიკულ სროლის დროს, გასქდა 12 დიუმიანი ყუმბარა, რომელიც ზარბაზანში ჩარჩენილიყო. მოკვდა და დაიჭრა 40 კაცი. დაშავდა ლეიტენანტი, ორი კადეტი და შტაბს-აფიცერი. გემი ძლიერ დაზიანდა.

**სტამბოლი.** პორტამ რუსის ელჩს მემორანდუმი გაუგზავნა მაკედონიაში მიღებულ ზომების შესახებ. პორტა აცხადებს, სასამართლოს გაუმჯობესობის შესახებ შესაფერი ზომები მივიღეთო და დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფოები ახლად შემოღებულ რეფორმებს საკმარისად იცნობენ. რეფორმები მდგომარეობს იმაში, რომ დანიშნავენ იუსტიციის ინსპექტორებს, ერთს მაჰმადიანს და ერთ ქრისტიანს სამი ვილაიეტისთვის. საგანგებო სასამართლოები გაუქმებული იქნება. პოლიტიკური პროცესები ჩვეულებრივ სასამართლოს გადაეცემა, სალონიკში დააარსებენ საიურიდიო სკოლას და სასამართლოს მოხელეებს დანიშნავენ ადგილობრივ ენის მცოდნეთ, ჯამაგირებს მოუმატებენ, გაუმჯობესებული იქმნება სისხლის სამართალის საქმის გარჩევა, ყველა ოლქებში დაინიშნებიან მომრიგებელი მოსამართლეები. რადგან ზემოთქმულ რეფორმების გარანტია არ არის, აუცილებელად საჭიროა უცხო სახელმწიფოთა მიერ დანიშნული კონტროლი.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. აბელიშვილი.**


# განცხადებანი

# აუქციონი

15 სექტემბერს 1907 წ., შაბათს, დილის 9 საათიდან ნავთლუღის სადგურზე ამიერ-კავ. რკინის გზის ნავთის მილის საწყობში დანიშნულია საუქციო ვაჭრობა ოთხის შენობის გასასყიდად.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ნავთის მილის კანტორაში, (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, ს. № 99) ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე. (3—6.—2)

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა**, იგი **ძალის მომმატებელია**. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **„სპერმატინი“** შედეგია **ბრიუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლულობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოქმედებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

## ავადმყოფთა წერილები.

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით. უკანასკნელს წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მოაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხები ა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი. და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება ამის შემდეგ. განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი“ მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს,** ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **გ. მნაცაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

„მ. ხ. ბ. ივანოვ! სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმენგერ.** 19 აპრილი 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმანტინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვიარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.“.

**მ. ხ. ბ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით“. ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის“ ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივ-ს ავისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეკი, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—6.—2)

-+-+ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! +-+



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ზეჰქის ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

# ლეოპოლდ ნეიშელლერ.

პეტერბურგსა, მოსკავსა, რიგასა, ოდესსასა, ეკატერინბურგსა,

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში

იქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვე საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთულ ტყავისა. (100—58)